



ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულება

მოქალაქის გზამკვლევი

2025 წელი, ივნისი

სარჩევი

შესავალი	3
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი - სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა.....	4
საქართველოს საბიუჯეტო სისტემა.....	6
საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები	11
საბიუჯეტო პროცესი თვითმმართველობაში	12
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულება	14
ბიუჯეტის შემოსულობები.....	14
ნაშთის ცვლილება	17
ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით	17
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები	20
ინფრასტრუქტურის განვითარება	21
დასუფთავება და გარემოს დაცვა.....	25
განათლება	27
კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	29
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.....	33
ბიუჯეტის გადასახდელები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით	36

შესავალი

ბიუჯეტის გზამკვლევი ეხმარება მოქალაქეს მიიღოს ინფორმაცია მუნიციპალური ბიუჯეტით განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. ბიუჯეტის გზამკვლევი მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს თვითმმართველობის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერას, გვიჩვენებს მათ მიზნობრიობას, განხორციელებულ აქტივობებს სძენს საჯაროობას.

ბიუჯეტის შესრულების გზამკვლევი მოიცავს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოკლე აღწერას.

გზამკვლევი წარმოადგენილი ინფორმაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი კონკრეტული წლის მონაცემებით. მასში 2024 წლის საბიუჯეტო მონაცემები შედარებულია გასული 2 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს.

გზამკვლევი ასევე მოცემულია ინფორმაცია საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ, საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებზე და თვითმმართველობების საბიუჯეტო პროცესზე.

გზამკვლევი მოყვანილი 2024 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები ეფუძნება ფინანსთა სამინისტროს eTreasury სისტემაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ მონაცემებს. 2024 წლის გეგმიური მაჩვენებლები შესაძლებელია რიგ შემთხვევებში არ ემთხვეოდეს საკრებულოს მიერ დატკიცებული ბიუჯეტის მონაცემებს და განსხვავების მიზეზი შესაძლებელია იყოს სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი თანხები, რომელთა ასახვა ბიუჯეტის დაზუსტებულ მაჩვენებლებში განხორციელდა 5%-იანი გადანაწილებით წესის მიხედვით.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი - სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი მდებარეობს რაჭა – ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ცენტრალურ ნაწილში, ჩრდილო–აღმოსავლეთიდან მას ესაზღვრება ონის მუნიციპალიტეტი, ჩრდილო–დასავლეთიდან ლენტეხის და ცაგერის მუნიციპალიტეტები, სამხრეთ–დასავლეთიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტი(იმერეთის



რეგიონი), სამხრეთიდან–ტყიბულის მუნიციპალიტეტი (იმერეთის რეგიონი), ხოლო სამხრეთ–აღმოსავლეთიდან – ჭიათურის და საჩხერის მუნიციპალიტეტები(იმერეთის რეგიონი). ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1142 კვ.კმ –ია, საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 720 მ.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის კლიმატი გარდამავალია ზომიერსა და ნოტიო სუბტროპიკულს შორის. დაბალმთიანეთში ზომიერად ცივ ზამთრიანი და შედარებით ცხელ ზაფხულიანი ჰავის ტიპია გაბატონებული, მაღალმთიანი ზონისათვის კი უხვთოვლიანი მთის ნოტიო ჰავაა დამახასიათებელი. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა 9 – 10 °C (დაბალ ზონაში), ზოგან კი – 4 –5°C(მთიანეთში). მუნიციპალიტეტის დაბალ ნაწილში იანვრის საშუალო ტემპერატურაა – 1,5 – 4°C – ია, ივლისისა კი 18 – 24 °C ფარგლებში მერყეობს. ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა 1000 – 1500 მმ–ია. მთებში ეს პარამეტრი 1600 – 1800 მმ–ს აღწევს.ძირითადად გავრცელებულია დასავლეთის მიმართულების ქარი, ქარის საშუალო სიჩქარეწელიწადში10 –15 კმ/სთ.

ძირითად სიმდიდრეს მუნიციპალიტეტისათვის წარმოადგენს ტყეები. მისი ფართობია 76859 ჰა, აქედან ტყით დაფარულია 74530 ჰა, რაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 65.3% –ია. აქ ტყეები უმთავრესად შერეული ხასიათისაა. გავრცელებულია კოლხური ტიპის ჯიშები, რომლებიც გამოირჩევიან მერქნიან მცენარეთა სახეობრივი შემადგენლობის სიმდიდრით. ფოთლოვანი ჯიშებიდან გავრცელებულია: მუხა, რცხილა, ცაცხვი, ვერხვი, ნეკერჩხალი, წაბლი, უთხოვარი, იფანი, წიწვოვანიდან: სოჭი, ფიჭვი, ნაძვი და სხვა.ტყეებს აქ უმთავრესად სოციალური მნიშვნელობა აქვს. ისინი ასრულებენ ნიადაგდაცვით

წყალმარეგულირებელ, სანიტარულ-ჰიგიენურ ფუნქციებს, აგრეთვე იცავენ დასახლებულ ადგილებს და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს ღვარცოფებისა და ზეგავებისაგან.


ამბროლაურის მუნიციპალიტეტი განსაკუთრებით მდიდარია ჰიდროლოგიურად. წყლის ძირითადი არტერიაა მდ. რიონი, რომელიც სათავეს იღებს კავკასიონის მთავარი ქედიდან – ფასის მთიდან, რიონის შენაკადებია კრიხულა, ზნაკურა, შარეულა, ლუხუნი, რიცეულა, ასკი.

შაორის წყალსაცავი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ულამაზესი ადგილია. იგი ხელოვნურ წყალსაცავს წარმოადგენს, რომლის ირგვლივ გაშენებულია უნიკალური ჯიშისტყეები.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქ. ამბროლაური. მანძილი ქ. თბილისსა და ქ. ამბროლაურს შორის 280 კმ – ია, ხოლო მანძილი უახლოეს რკინიგზის სადგურამდე კი 35 კმ (ტყიბულის მუნიციპალიტეტი). ქ. ამბროლაურის გარდა მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის 18 ტერიტორიული ერთეული (თემები), რომლებშიც გაერთიანებულია 69 სოფელი.

გრაფიკი #1

საქართველოს მოსახლეობა მუნიციპალიტეტების მიხედვით (ათასი კაცი)



* გრაფიკის თავსებადობის მიზნით, მონაცემები არ მოიცავს თბილისის მაჩვენებლებს

მუნიციპალიტეტში დასახლებული 10,1 ათასი მოსახლიდან 2,0 ათასი ცხოვრობს ქ. ამბროლაურში და 8,1 ათასი სასოფლო დასახლებებში.
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი: <https://ambrolauri.gov.ge/>

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით საქართველოს საბიუჯეტო სისტემა არის „საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციების შესასრულებლად, ფულადი სახსრების მობილიზებისა და გამოყენების მიზნით, სამართლებრივი აქტებით რეგულირებული საბიუჯეტო ურთიერთობათა ერთობლიობა“.

ტერმინი „ბიუჯეტი“ („Budget“) ინგლისური სიტყვაა და ტომარას ნიშნავს. დღევანდელი მნიშვნელობით ამ ტერმინის გამოყენება ისტორიულ წყაროებში პირველად გვხვდება ინგლისის თემთა პალატაში. როდესაც მთავრობა თემთა პალატას ფულს სთხოვდა, ხაზინის კანცლერი ხსნიდა პორტფელს (ტომარას), სადაც სახელმწიფო შემოსავლების და ხარჯების ხარჯთაღრიცხვის კანონპროექტი იყო. ამას უწოდებდნენ ბიუჯეტის გახსნას.


დღეს საქართველოში ბიუჯეტი წარმოდგენს შესაბამისი დონის ხელისუფლების ორგანოების მიერ საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღებ და გასაცემ ფულადი სახსრების ერთობლიობას, მათი შეგროვებისა და გადახდის გეგმას. ამ სახით პროგნოზი კეთდება მომდევნო 4 წელზე, ხოლო მმართველობის შესაბამისი ორგანოების მიერ ბიუჯეტი მტკიცდება და აღსრულებას ექვემდებარება მომდევნო 1 წლისათვის.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა აერთიანებს სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს. დღეს მოქმედი კანონმდებლობითა და საბიუჯეტო მოწყობის მიხედვით საქართველოში არსებობს ბიუჯეტის სამი დონე: საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტები. ბიუჯეტები მტკიცდება შესაბამისი დონის საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ.

- სახელმწიფო ბიუჯეტი - მტკიცდება საქართველოს პარლამენტის მიერ;
- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი - მტკიცდება ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი - მტკიცდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს, საკრებულოს მიერ.

ბიუჯეტების სიდიდისა და პროპორციის ვიზუალური აღქმისთვის ინფორმაცია წარმოდგენილია გრაფიკი #2-ზე. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის 84%-ს შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი, 1%-ზე ოდნავ მეტია აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტები, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ჯამური სიდიდე ნაერთი ბიუჯეტის 15%-ია, საიდანაც ქ. თბილისის ბიუჯეტი - 6%, ხოლო დანარჩენი 9% ნაწილდება 65 მუნიციპალიტეტზე.

გრაფიკი #2



გზამკვლევაში ყურადღებას გავამახვილებთ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტზე. კერძოდ იმ საკითხებზე, თუ რას წარმოადგენს თვითმმართველობის ბიუჯეტი, რა როლი უჭირავს მას ქვეყნის საბიუჯეტო სისტემაში, რა სახის კავშირი და დამოკიდებულება აქვს თვითმმართველობების ბიუჯეტებს სხვა დონის ბიუჯეტებთან.

თვითმმართველი ერთეული არის მუნიციპალიტეტი, რომელსაც აქვს საკუთარი ადმინისტრაციული საზღვრები. ხოლო, ადგილობრივი თვითმმართველობა არის შესაბამის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეთა უფლება, მათ მიერ არჩეული თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. სწორედ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი წარმოადგენს ამ საკითხების გადაწყვეტის ძირითად და მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.


მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. საკუთარი უფლებამოსილება არის ის უფლებამოსილება, რომელსაც მუნიციპალიტეტი ახორციელებს დამოუკიდებლად, საკუთარი პასუხისმგებლობით. ხოლო, დელეგირებული უფლებამოსილება - სახელმწიფო ან/და ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილება, რომელიც შესაბამისი მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით გადაეცემა ადგილობრივ თვითმმართველობას. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებების

ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების წყაროს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობები და სხვა ბიუჯეტიდან მიღებული არასაკუთარი შემოსულობები. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არასაკუთარ შემოსულობებს მიეკუთვნება ბიუჯეტის მიერ მიღებული სესხი და გრანტი, აგრეთვე სპეციალური, კაპიტალური და მიზნობრივი ტრანსფერები. ბიუჯეტის ყველა სხვა შემოსულობა წარმოადგენს თვითმმართველობის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობას, რომელთა გამოყენებაც მუნიციპალიტეტს შეუძლია დამოუკიდებლად, საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისად. სწორედ საკუთარი შემოსულობები და მათი დამოუკიდებლად განკარგვის შესაძლებლობა უზრუნველყოფს მუნიციპალური ბიუჯეტის დამოუკიდებლობას.

თუ ვნახავთ გასული წლების მუნიციპალიტეტების შემოსულობების ნაერთ მაჩვენებლებს გამოჩნდება, რომ მუნიციპალური ბიუჯეტის ძირითადი შემოსავლები სწორედ მისი საკუთარი შემოსულობებია. მაგალითისთვის, 2023 წლისათვის მუნიციპალიტეტების ნაერთ შემოსულობებში საკუთარი შემოსულობების ფაქტიური მაჩვენებელი 71% იყო (გრაფიკი #3).


გრაფიკი #3



გრაფიკ #4-ზე მოცემულია საკუთარი შემოსავლების სტრუქტურა 2023 წლის ფაქტიური შემოსავლების მიხედვით. გრაფიკში მოცემული სხვა შემოსავლების მონაცემი აერთიანებს შემოსავლების საბიუჯეტო კლასიფიკაციის როგორც სხვა შემოსავლებიდან, ასევე, არაფინანსური (კაპიტალური შემოსავლები) და ფინანსური (ძირითადად ნაშთის გამოყენება) აქტივებიდან მუნიციპალურ ბიუჯეტებში მობილიზებულ თანხებს.

გრაფიკი #4

მუნიციპალიტეტების 2023 წლის საკუთარი შემოსულობების სტრუქტურა
(თანხა მლნ ლარი)



უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საბიუჯეტო სისტემაში 2019 წლის 1 იანვრიდან განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მუნიციპალიტეტის შემოსავლების როგორც ფორმირებაზე ასევე მის სტრუქტურაზე. კერძოდ:

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში განხორციელდა ცვლილებები საბიუჯეტო კოდექსსა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში, რომლის მიხედვითაც შეიცვალა მუნიციპალიტეტების დაფინანსების სისტემა, კერძოდ, მუნიციპალიტეტების აღარ მიეცემათ გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე საშემოსავლო გადასახადის სხვადასხვა სახეებიდან მიღებული შემოსავლები მთლიანად მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში, მათ ნაცვლად მუნიციპალიტეტების დასაფინანსებლად მიიმართება დღგ-ს სახით მიღებული შემოსავლების 19,0%.

როგორც მონაცემებიდან ჩანს მუნიციპალიტეტის შემოსულობებში მნიშვნელოვანი ადგილო უჭირავს დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მიღებულ შემოსავლებს (საკუთარი შემოსავლების - 51% და ნაერთი შემოსავლების - 38%), რომელმაც როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, 2019 წელს განხორციელებული რეფორმის შედეგად, ჩაანაცვლა გათანაბრებითი ტრანსფერი და საშემოსავლო გადასახადი. უნდა აღინიშნოს, რომ გათანაბრებით ტრანსფერთან შედარებით დღგ-მ მნიშვნელოვნად გაზარდა მუნიციპალიტეტების შემოსავლები.

მარტივად აღსაქმელად, ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების ბიუჯეტის შემოსავლის წყაროები ჩვენ პირობითად შეგვიძლია დავყოთ 3 ნაწილად:


საგადასახადო შემოსავლები - შემოსავლის ეს წყარო მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქონების გადასახადის 100%-ს და დამატებითი ღირებულების გადასახადის ნაწილს, რომლიც გამოთვლაც ხდება სპეციალური ფორმულით სადაც მონაწილეობს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლები; შემოსავლის ეს წყარო მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსავლებს მიეკუთვნება.

გრანტები (ტრანსფერები) - საერთაშორისო ორგანიზაციები და მთავრობების მიერ გამოყოფილ გრანტები. ასევე, სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილ ტრანსფერები. მათ შორის, მიზნობრივი, სპეციალური და კაპიტალურ ტრანსფერები (2019 წლიდან აღარ არსებობს გათანაბრებითი სტრანსფერი). შემოსავლის ამ წყაროდან მისაღები თანხებიდან მუნიციპალიტეტის არასაკუთარ შემოსავლებს მიეკუთვნება.

სხვა დანარჩენი შემოსავლები - შემოსავლის ამ წყაროში გავაერთიანეთ ბიუჯეტის სხვა შემოსავლებს მიკუთვნებული შემოსავლები (მაგ. მოსაკრებლები, ჯარიმები, დივიდენდები, ლიცენზიები და ა.შ.), კაპიტალური შემოსავლები (შემოსავლები პრივატიზაციიდან), ფინანსური აქტივების (ნათშის გამოყენება, სესხის დაბრუნება) და ვალდებულებების (საგარეო ან საშინაო სესხის აღება) ცვლილებით მიღებული შემოსავლები. ჩამოთვლილი შემოსავლებიდან მისაღები თანხებიდან მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსულობებს მიეკუთვნება საბიუჯეტო კლასიფიკაციით კლასიფიცირებული სხვა შემოსავლები, კაპიტალური შემოსავლები და ფინანსური აქტივების ცვლილებიდან (ძირითად შემთხვევებში ნაშთი) მისაღები თანხები. შემოსავლების ზემოაღნიშნული კლასიფიცირების მიხედვით გრაფიკ #5-ზე მოცემულია 2023 წელს, ჯამურად მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში ჩარიცხული თანხები და მათი პროპორცია.

გრაფიკი #5

მუნიციპალიტეტების 2023 წლის შემოსულობები ძირითადი წყაროების მიხედვით
(მლნ ლარი)



საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები

საქართველოში დღეს მოქმედი საბიუჯეტო სისტემა რეგულირდება სხვადასხვა საკანონმდებლო ნორმატიული აქტით. სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებისთანა დაკავშირებული დებულებები ასევე გაწერია საქართველოს კონსტიტუციის მე-6 თავში. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობების კოდექსი“-ს მე-5 კარი მთლიანად შედგება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და ეკონომიკური საფუძვლების დებულებებისაგან. ასევე, ამავე ორგანული კანონის გარდამავალი დებულებები არეგულირებს მუნიციპალიტეტის ფინანსებთან დაკავშირებულ რიგ საკითხებს.

ქვეყანაში საბიუჯეტო მოწყობის ძირითად და საკვანძო საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს კანონით „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-თ. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი მიღებული იქნა 2009 წელს და ძალაში შევიდა 2010 წლის 1 იანვრიდან. საბიუჯეტო კოდექსმა ბევრ სხვა სიახლესთან ერთად გააერთიანა სხვადასხვა დონის ბიუჯეტების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მანამდე რამოდენიმე კანონით იყო დარეგულირებული. შედეგად საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის ამოქმედებისთანავე, სხვა კანონებთან ერთად, გაუქმდა „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“, „შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონები.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი შედგება ექვსი კარისაგან. მათ შორის, პირველი, მეორე და მეექვსე კარი საერთოა ბიუჯეტებისთვის და შესაბამისად, ადგენს ნორმებს ყველა დონის ბიუჯეტისთვის. კოდექსის მე-3 კარით დარეგულირებულია სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები, მე-4 კარი ადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო წესებსა და პროცედურებს, ხოლო მე-5 კარში მოცემულია ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები.

გარდა აღნიშნული საკანონმდებლო აქტებისა ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის შემადგენელი საკანონმდებლო აქტებია „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, „სახელმწიფო აუდიტის შესახებ“, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, „ბურალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, „ყოველწლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონები და სხვა.

საბიუჯეტო სისტემას ასევე არეგულირებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და ამ აქტებით დამტკიცებული მეთოდოლოგიები. საბიუჯეტო პროცესის მიმდინარეობისას ყოველწლიურად გამოიცემა კანონქვემდებარე ინდივიდუალური აქტები, რომლებიც გამომდინარეობს შესაბამისი ნორმატიული აქტებიდან.

საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტებიდან უნდა გამოიყოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებები „საქართველოს საბიუჯეტო

კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ და „პროგრამული ბიუჯეტი შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“. ეს ორი ბრძანება არეგულირებს როგორც სახელმწიფო დონეზე საბიუჯეტო მოწყობის საკითხებს, ასევე, ავტონომიური და ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენისა და აღსრულების წესებსა და პროცედურებს.

„საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით კლასიფიცირდება ბიუჯეტში მისაღები და ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი ნაკადები. დამტკიცებული კლასიფიკაცია ეფუძნება და შესაბამისია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დაწესებულ საერთაშორისო სტანდარტებთან. იგი ერთიანია საქართველოს ყველა დონის ბიუჯეტისათვის. კლასიფიკაციით განსაზღვრულია თუ როგორი ფორმა უნდა ჰქონდეს ბიუჯეტის ბალანსს, მოცემულია დეტალური მეთოდური მითითებები ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების აღრიცხვა-ანგარიშგებისთვის.

ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შემუშავება ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის სავალდებულო გახდა 2013 წლიდან. სწორედ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტი შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ ადგენს იმ წესებსა და ფორმას, თუ რა პერიოდში და რა სტრუქტურით უნდა განხორციელდეს წლიური ბიუჯეტის პროექტის მომზადება, დამტკიცება, აღსრულება და ანგარიშგება. მეთოდოლოგია ადგენს როგორც ზოგად დებულებებს, რომლებიც საერთოა ყველა დონის ბიუჯეტისათვის, ასევე ცალ-ცალკე, თითოეული დონის ბიუჯეტისათვის, განსაზღვრავს ბიუჯეტის და მისი პროგრამების შედგენის დეტალურ ფორმატებს.

2018 წელს განახლდა მეთოდოლოგიის ის ნაწილი, რომელიც არეგულირებს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების საბიუჯეტო საკითხებს. ჩვენს შემთხვევაში საგულისხმოა სიახლეები რომლებიც დაადგინა განახლებულმა მეთოდოლოგიამ და რომლებიც მუნიციპალიტეტებისათვის სავალდებულო გახდება 2020 წლის ბიუჯეტის მომზადების პროცესიდან.

საბიუჯეტო პროცესი თვითმმართველობაში

თვითმმართველობების ბიუჯეტის პროექტის მომზადების, საკანონმდებლო ორგანოსათვის წარდგენის და დამტკიცების პროცედურები რეგულირდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის XII თავით. ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესს კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანო, რომელიც ამ პროცესში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობითა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცემული შესაბამისი მეთოდური მითითებებით. მუნიციპალური ბიუჯეტის მომზადების, შედგენის, დამტკიცებისა და ანგარიშგების პროცესის მოკლე აღწერა მოცემულია გრაფიკ #6-ზე.




ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულება


ბიუჯეტის შემოსულობები

ჩვენ განვიხილავთ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებს 2022-2024 წლების მიხედვით, წარმოვადგენთ მათ სიდიდეებს, წილს მთლიან შემოსულობებში და დინამიკას ბოლო 3 წლის მიხედვით.


გრაფიკი #7



ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა 2019 წელს (გრაფიკები #8 და #9). აღნიშნული უკავშირდება 2019 წლის 1 აინვრიდან საბიუჯეტო კოდექსში ამოქმედებულ ცვლილებას, რომლიც მიხედვითაც, ერთის მხრივ, გაუქმდა გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე, საშემოსავლო გადასახადის ის სახეები რომლებიც გასულ წლებში ირიცხებოდა ადგილობრივ ბიუჯეტებში აღარ ჩაირიცხება მუნიციპალიურ ბიუჯეტებში. ხოლო მეორეს, მხრივ ამოქმედდა ე.წ. გადასახადების განაწილების პრინციპი, რომლიც მიხედვითაც ადგილობრივ ბიუჯეტებში ჩაირიცხება დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მობილიზებული თანხის 19%. ამ თანხის განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით ხორციელდება ასევე საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესით.




საგადასახადო შემოსავლების ამ რეფორმის მიხედვით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში დამატებითი ღირებულების გადასახადიდან შემოვიდა 11,5 მლნ ლარი, რამაც ქონების გადასახადთან ერთად ჯამში 12,7 მლნ ლარი შეადგინა. შესაბამისად, საგადასახადო შემოსავლების წილი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში შეადგენს 43 %-ს.




2024 წელს მუნიციპალიტეტის მიერ მიღებულმა ტრანსფერმა შეადგინა 13,4 მლნ ლარი, რაც პროცენტულ გამოხატულებაში შეადგენს 45 %. ტრანსფერების 2024 წლის სტრუქტურა წარმოდგენილია გრაფიკ 10-ზე

გრაფიკი #10



სხვა შემოსავლების 2024 წლის სტრუქტურა წარმოდგენილია გრაფიკ 11-ზე, შემოსავლების ეს წყარო მთლიან შემოსავლებში შემდეგი წილობრივი მაჩვენებლით არის მოცემული: 3% (1 მლნ ლარი), რაც შეეხება ქონების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს, 2024 წლის მაჩვენებელი გასული წლის მაჩვენებელთან მიმართებაში გაზრდილია 2,0 მლნ ლარით. არაფინანსური აქტივების კლება მთლიან შემოსავლებში - 9 % (2,5 მლნ ლარი).


გრაფიკი #11



ნაშთის ცვლილება

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ნაშთის გამოყენება შეადგენს 1,3 მლნ ლარს, 2022-2024 წლებში ნაშთის დაგროვება/გამოყენების მაჩვენებლები წარმოდგენილია გრაფიკ #12-ზე.


გრაფიკი #12



ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით


ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 30,857.6 ათასი ლარი (გარიფი #13).

გრაფიკი #13




გრაფიკებში #14-#15 მოცემულია 2022-2024 წლებში ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ასიგნებები (მთლიანი ხარჯები) პრიორიტეტების მიხედვით, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე თითოეული პრიორიტეტი პროცენტულად მთლიან ხარჯთან. ხოლო გრაფიკზე #16 ანალოგიური მაჩვენებლები ჯამურად ბოლო 3 წლის მიხედვით (2022-2024 წლები).

გრაფიკი #14




გრაფიკი #15



გრაფიკი #16

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2022-2024 წლებში




2022-2024 წლებში მუნიციპალური ბიუჯეტის ასიგნებებიდან ყველაზე მეტი ხარჯი ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციაზე მოდის და იგი მთლიანი ბიუჯეტის 53%-ია, ხოლო ყველაზე ნაკლები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტზე - 4 %. განათლების პრიორიტეტის დაფინანსებას მთლიანი ხარჯების 8 % მოხმარდა, მმართველობითი ხარჯების დაფინანსებას ასევე 19%, ხოლო კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების პრიორიტეტისთვის დაიხარჯა ბიუჯეტის 12%. 2024 წლის ბიუჯეტში პრიორიტეტების მიხედვით ასიგნებები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები	ათასი ლარი
ინფრასტრუქტურა	16,371.7
მმართველობა	5,581.2
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	4,067.6
განათლება	2,326.9
დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,397.6
ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,112.7
სულ ასიგნებები	30,857.6

გრაფიკი #17

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2024 წელი


(ათას ლარში და %-ში)



წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით დაიხარჯა 5,581.2 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 18,1 %-ს შეადგენს. 2022-2024 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #18-ზე.

გრაფიკი #18




2024 წელს დახარჯული ასიგნებები:

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	5,581.2
საკრებულო	1,148.2
მერია	4,304.1
მგფ-სა და სხვა ვალდებულებების დაფარვა	128.9

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების პრიორიტეტის ასიგნებების წილობრივი მაჩვენებლები მოცემულია გრაფიკ #19-ზე.

გრაფიკი #19


მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 2024 წელი



წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების ხარჯებიდან 77% (4,3 მლნ ლარი) მოხმარდა მუნიციპალიტეტის მერიის (აღმასრულებელი ხელისუფლების) ხარჯებს. დარჩენილი თანხიდან 21% (1,2 მლნ ლარი) მოდის საკრებულოს ხარჯებზე, 2% (128,9 ათასი ლარი) მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურებაზე.


ინფრასტრუქტურის განვითარება

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 53 % გამოიყო ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 16,371.7 ათას ლარს შეადგენს.



ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტიდან დაფინანსებული ძირითადი პროგრამების ხვედრითი წილი მთლიანად პრიორიტეტის დაფინანსებაში წარმოადგენილია გრაფიკი #21-ზე. როგორც გრაფიკი #21-დან ჩანს ყველაზე მეტი თანხა გამოიყო საგზაო ინფრასტრუქტურის ღონისძიებებზე - 7,702.6 ათასი ლარი, რაც მთლიანი პრიორიტეტის 47%-ს შეადგენს. შემდეგ მოდის სტიქიის პრევენცია, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია - 18% (2,926.1 ათასი ლარი), მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობაზე დაიხარჯა 1,876.1 ათასი ლარი 11%, წლის სისტემების განვითარებაზე - 6% (915.3 ათასი ლარი) მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარებაზე - 3% (449.4 ათასი ლარი)

პროგრამის / ქვეპროგრამის დასახელება	სულ
საგზაო ინფრასტრუქტურა	7,702.6
წყლის სისტემები	915.3
გარე განათება	757.5
სტიქიის პრევენცია, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	2,926.1
კეთილმოწყობა	1,876.1
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	790.9
სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ობიექტების მშენებლობა რაბილიტაცია	321.0
რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და ტექნიკური ზედამხედველობის დაფინანსება	402.8
მუნიციპალური ტრანსპორტი	449.4
სამოქალაქო ბიუჯეტირება	230.1



საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზები (მათ შორის, ხიდები, ტროტუარები და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობები) კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთება, მუნიციპალიტეტში ახალი გზების მშენებლობა. პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი, ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები უმეტესწილად ხმარდება გზების მიმდინარე შეკეთებას. მიმდინარე პერიოდისათვის მუნიციპალური გზების 30% სრულად რეაბილიტირებულია, დარჩენილ ნაწილზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო ნაწილზე იგეგმება შესაბამისი სამუშაოების ჩატარება. სარეაბილიტაციო გზების შერჩევა და პრიორიტეტიზაცია მოხდა მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე მნიშვნელოვანი ხარჯები გაიწია სტიქიური მოვლენების შედეგების აღმოფხვრის მიზნით და სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 2 ქვეპროგრამა:

- გზების მოვლა შენახვა და მიმდინარე შეკეთება;
- გზების კაპიტალური მშენებლობა;

გზების მოვლა-შენახვის და მიმდინარე შეკეთების ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული

მონაკვეთების აღდგენა - რეაბილიტაციას (მათ შორის, ე.წ. ორმული შეკეთება), ასევე, არაასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მოშანდაკებას. წლის განმავლობაში საშუალოდ ხორციელდება 350000 კვ/მ გზის მიმდინარე შეკეთება, ასევე ხორციელდება ზამთრის პერიოდში გზების თოვლის საფარისგან გაწმენდა.

გზების კაპიტალური შეკეთების ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) შეკეთება/რეაბილიტაცია.

წყლის სისტემების განვითარება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წყლის უწყვეტი მომარაგება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ფინანსდება წყლის სისტემების განვითარების პროგრამა, რომელიც მოიცავს როგორც წყალმომარაგების არსებული ქსელის მოვლა-შენახვის ღონისძიებებს, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას.

წყლის სისტემების განვითარების პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამისაგან:

- წყლის სისტემების რეაბილიტაცია;
- წყლის სისტემების ექსპლოატაცია;
- წყლის სისტემების მოერ მოხმარებული ელ. ენერგიის ხარჯი;
- ა(ა)იპ 'მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრი';

წყლის სისტემების რეაბილიტაციის ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალების და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები. ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით.

წყლის სისტემების ექსპლოატაციის ქვეპროგრამა ითვალისწინებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 68 სოფელში ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სოფლებში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ანაზღაურდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული წყლის ტუმბოების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯები.

გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია - მიმდინარე პერიოდის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ამბროლაურში და 68 სოფელში. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული დაახლოებით 6,500 სანათი წერტილის მოვლა-პატრონობა, მათ შორის, ქ. ამბროლაურში 1,500 და სოფლებში 5,000 წერტილი.

გარე განათების ქსელის ექსპლუატაციის პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან:

- გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება;
- გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა;

გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურების ქვეპროგრამისათვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული განათების წერტილების (6,500 სანათი) წერტილის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების ანაზღაურებას.

გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის ხორციელდება მისი პერიოდული შეკეთება, რომელიც მოიცავს:


- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლას;
- ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლებას;
- დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთებას.

დასუფთავება და გარემოს დაცვა

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ასიგნებების 5% გამოიყო დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 1,397.6 ათას ლარს შეადგენს.

გრაფიკი #22


დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსება - 2022-2024



ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტიდან დაფინანსდა დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა და უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. ხარჯების სტრუქტურა და სიდიდე წარმოდგენილია გრაფიკ #23-ზე.

გრაფიკი #23

დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტის პროგრამები - 2024 წელი



დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროგრამები:

დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1,246.9
გამწვანება	121.2
კაპიტალური ხარჯები	19.7

ძაღლების მოვლა პატრონობა	9.9
სულ	1,397.6

დასუფთავება და ნარჩენების გატანა - პროგრამის ფარგლებში შეძენილია მუნიციპალიტეტისათვის სანაგვე ურნები და სპეცტექნიკა.

მუნიციპალიტეტებში ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება (კონტეინერების შეძენა) მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით კი ქალებისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ძირითადად ქალები არიან ჩართული საოჯახო საქმეებში და მათი არაანაზღაურებადი შრომის ნაწილია საყოფაცხოვრებო ნარჩენებზე ზრუნვა.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიის დასუფთავება, რაც თავის მხრივ მოიცავს მუნიციპალიტეტის ქალაქების, სოფლების, ქუჩებისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების, ეზოების, პარკების დაგვას, ნარჩენების შეგროვებას და გატანას. მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის დახმარებით განხორციელდა ნაგვის ურნების შეძენა. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოხეტიალე უპატრონო ცხოველების იმუნიზაცია, კასტრაცია და სტერილიზაცია.


ისეთი ხარჯები, როგორიცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, კერძოდ, დასუფთავებისა დანარჩენების გატანის პროგრამიდან.

განათლება

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის განთლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის დაიხარჯა 2,3 მლნ ლარი. ამ პრიორიტეტის დაფინანსება ბოლო 3 წლის განმავლობაში წარმოდგენილია გრაფიკ #24-ზე. 2024 წელს გასულ წელთან შედარებით

ასიგნებების მოცულობა გაზრდილია 0,3 მლნ ლარით, ხოლო 2022 წელთან - 0,5 მლნ ლარით.

გრაფიკი #24




განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროგრამები:

სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	1,699.1
განათლების ღონისძიებები	52.2
მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი	236.5
საჯარო სკოლების ხელშეწყობა	339.2
სულ	2,326.9

სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება და რეაბილიტაცია – ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მომავალი თაობების აღზრდაში დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება საბავშვო ბაგა-ბაღების გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ღონისძიება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს საბავშვო ბაღების საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან მიახლოებული ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსებას. პროგრამის მიზანია:

სკოლამდელი განათლების სისტემის მართვა და განვითარება, სკოლამდელი განათლების სისტემის ხელშეწყობა, სკოლამდელი აღსაზრდელების ფიზიკური ჯანმრთელობა, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის დახვეწა, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გაუმჯობესება. საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელთა განვითარების ხელშეწყობა და სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, რომელსაც უზრუნველყოფს ამბროლაურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება. აღნიშნული დაწესებულების ვალდებულებაა საგანმანათლებლო-სააღმზრდელო და კულტურული გარემოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, საზოგადოების აქტიური ჩართვა მიმდინარე საგანმანათლებლო-სააღმზრდელო და კულტურულ პროცესებში, აღსაზრდელთა ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირება, სააღმზრდელო ჯგუფების მუშაობის გაუმჯობესება, დახვეწა და მოსახლეობის ინტერესებზე მორგება. ყურადღება გამახვილდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აღსაზრდელთათვის საჭირო აქტივობის ამაღლებასა და საზოგადოებაში სოციალურ ინტეგრაციაზე.


გრაფიკი #25



კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით დაიხარჯა 4,1 მლნ ლარი, რაც ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 13,2%-ია.

გრაფიკი #26




პრიორიტეტის ფარგლებში 2024 წლის ბიუჯეტიდან დაფინანსდა 3 ძირითადი პროგრამა:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1,627.2
კულტურის განვითარების ხელშეწყობა	2,409.9
ახალგაზრდობის ხელშეწყობა	30.6
სულ	4,067.6

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებებიდან სპორტის განვითარების ხელშეწყობაზე მოდის პრიორიტეტის მთლიანი ასიგნებების 40 %, კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაზე - 59 % და ახალგაზრდობის პროგრამის დაფინანსებაზე - 1% (გრაფიკი #27).

გრაფიკი #27



სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა აერთიანებს 2 ქვეპროგრამას, ესენია:

სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1,226.3
კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	400.8
სულ	1,627.2

სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამა - მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მათ ჩართვას სხვადასხვა სპორტულ სახეობებში. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა ასიგნებები სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამისთვის. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 4 სპორტული სკოლა, ესენია:

- ა(ა)იპ „ამბროლაურის სასპორტო სკოლა“;
- ა(ა)იპ „ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი „ფალავანი““;
- ა(ა)იპ „ამბროლაურის საცურაო აუზი“;
- ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „რაჭა“.

სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს 7 სპორტული წრე, ესენია: კალათბურთი, ჭადრაკი, რაგბი, კარატე, მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი, ჩოხიანი ჭიდაობა (სამბო-ძიუდო). სულ აღნიშნულ სპორტულ სახეობებს ეუფლება 200 ბავშვი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში საქართველოს მასშტაბით.

ჭიდაობის კლუბ ფალავანში ფუნქციონირებს 3 ასაკობრივი ჯგუფი (უმცროსი ჭაბუკები, ჭაბუკები და ახალგაზრდები). ჯამში კლუბში ვარჯიშობს 63 ბავშვი. კლუბის აღსაზრდელები მონაწილეობენ საქართველოს ჩემპიონატებში, სხვადასხვა რეგიონალურ და საერთაშორისო ტურნირებში. წლის განმავლობაში კლუბი უზრუნველყოფს 2 ტურნირის ჩატარებას (რაჭის ღია პირველობა და გურამ საღარაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი).

ამბროლაურის საცურაო აუზით სარგებლობა შეუძლია მუნიციპალიტეტის მოსახლეობას 6


წლის ასაკიდან. წლის განმავლობაში აუზით სარგებლობს დაახლოებით 600 ადამიანი. აუზს გააჩნია როგორც ღია ისე დახურული აუზი.

საფეხბურთო კლუბ რაჭაში ასაკობრივი ჭრილის მიხედვით ფუნქციონირებს 6 საფეხბურთო სექცია (ასაკობრივი ჯგუფი). ჯამში კლუბში ვარჯიშობს 120 ბავშვი. 2 ასაკობრივი გუნდი მონაწილეობს რეგიონალურ ტურნირებში.

კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა აერთიანებს 6 ქვეპროგრამას, ესენია:

კულტურის დაწესებულებების გაერთიანება	1,324.0
კაპიტალური დაბანდებები კულტურის სფეროში	722.4
ტურისტული ცენტრი	199.4
კულტურის ღონისძიებები	104.1
რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	50.0
გაზეთი	10.0
სულ	2,409.9

გრაფიკი #28



კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობის - ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი და მოსწავლეთ თეატრი, 29 ბიბლიოთეკა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახური, საესტრადო მუსიკალური ბენდი "Art New Life", სახალხო ანსამბლი „საგალობელი“ და ფოლკლორული ანსამბლი „იავნანა“.

2024 წელს ჩატარდა სხვადასხვა, როგორც ადგილობრივი, ასევე გასვლითი ღონისძიებები.

ანსამბლების „იავნანა“, „საგალობელი“, ჯგუფი 'art new life'-ის სოლო კონცერტები.

ჩატარდა თოჯინების თეატრის ორი პრემიერა და სახალხო თეატრის ორი პრემიერა. სპექტაკლების ჩვენება გაიმართა, როგორც ადგილობრივად, ასევე სხვადასხვა რეგიონებში.

მუნიციპალიტეტის 29 ბიბლიოთეკაში წიგნის ფონდი შეადგენს 80,451 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 3000

მოსახლე. 2024 წელს ბიბლიოთეკებში მნიშვნელოვან თარიღებზე (იუბილეებზე) ჩატარდა 10 სხვადასხვა სახის ღონისძიება.


კულტურულ მემკვიდრეობის დაცვის სამსახური ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული ძეგლების მონიტორინგს. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია 103 ძეგლი, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მინიჭებული აქვს 70-მდე ძეგლს. წლის განმავლობაში სამსახური ახორციელებს ძეგლების მონიტორინგს, ფოტოფიქსაციას და აწვდის შესაბამის ინფორმაციას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს.

საესტრადო ჯგუფმა, სახალხო ანსამბლმა საგალობელი და ფოლკლორულმა ანსამბლმა იანვრანამ მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ სხვადასხვა კულტურულ და სადღესასწაულო ღონისძიებებში.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის გამოიყო 1,1 მლნ ლარი, რაც მთლიანი ბიუჯეტის ასიგნებების 3,6 %-ს შეადგენს.


გრაფიკი #29



პრიორიტეტის ფარგლებში ფინანსდება შემდეგი ძირითადი ქვეპროგრამები:


საზოგადოებრივი ჯანდაცვა	434.6
სოციალური უზრუნველყოფა	678.0
სულ	1,112.7

გრაფიკი #30



მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები - ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სამედიცინო/სარეაბილიტაციო მომსახურებასა და მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის ზრდა. ონკოლოგიურ პაციენტთა, შშმ ვეტერანთა, ქრონიკული დაავადების მქონე ბენეფიციართა, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა, სოციალურად დაუცველთა და სხვა კატეგორიის პაციენტთა მხარდაჭერა ჯანმრთელობის პრობლემების გადასაჭრელად ფინანსური დახმარების გზით.

გრაფიკი #31



შპმ პირთა დახმარება	172.0
უსახლკარო ადაქმიანების დახმარება	60.6
სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ზამთრის თბობისთვის ერთჯერადი	82.8
ბავშვთა უფლებების დაცვა	58.5
უფასო კვება	42.0
ერთჯერადი დახმარება ყოველ ახალშობილზე	41.7
სხვა სოციალური პროგრამები	220.5
სულ	678.0

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება - ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა: ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვების მომსახურება, რომელიც გაეწევა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს ან მარტოხელა პენსიონერს (რომელსაც არ ჰყავს ოჯახის წევრი)

სამი და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვიან ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება - სამი და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვიან ოჯახზე, რომელთა ორივე მშობელი (გამონაკლისის შემთხვევაში ერთი) რეგისტრირებულია ამბროლაურის მუნიციპალიტეტში და აქვს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი გაიცა ერთჯერადი ფულადი დახმარება 600 ლარის ოდენობით.


სამი და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვიან ოჯახზე, რომელთა ორივე მშობელი (გამონაკლისის შემთხვევაში ერთი) რეგისტრირებულია ამბროლაურის მუნიციპალიტეტში გაიცა ერთჯერადი ფულადი დახმარება 400 ლარის ოდენობით.

უსახლკარო ოჯახების საცხოვრებელი ბინის ყოველთვიური ქირით უზრუნველყოფა - ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრების სტატუსის მქონე, სოციალურად დაუცველ უსახლკარო პირთა ოჯახებზე (უპირატესობა მიენიჭება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მცირეწლოვანი ბავშვის ოჯახებს, ასევე ძალადობის მსხვერპლ ქალებს), რომლებიც სტიქიური მოვლენების და სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო დარჩნენ უსახლკაროდ და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ გააჩნიათ სხვა საცხოვრებელი, 1 (ერთი) წლის განმავლობაში ყოველთვიურად ბინის ქირისათვის გაიცა ფულადი დახმარება არაუმეტეს 400 (ოთხასი) ლარისა.

ბიუჯეტის გადასახდელები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით

2022-2024 წლების მიხედვით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯამში დაიხარჯება 79 მლნ ლარი. აღნიშნული ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით მოცემულია #32-ზე და #33 გრაფიკებზე:

გრაფიკი #32




როგორც

გრაფიკებიდან ჩანს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბოლო 3 წლის ბიუჯეტის ყველაზე მეტი (51%; 40,7 მლნ ლარი) ხარჯი კლასიფიცირდება არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით, ამ მუხლით გაწეული ხარჯი წინა ორი წლის ხარჯებში აღემატება საბიუჯეტო კლასიფიკაციის სხვა მუხლებიდან გაწეულ ხარჯებს.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლის მიხედვით სიდიდით მეორე ბოლო ჯამურად 3 წლის მიხედვით არის სუბსიდიის მუხლი. ჯამში, ეკონომიკური კლასიფიკაციის ამ მუხლით კლასიფიცირდება 17,4 მლნ ლარი (მთლიანი გადასახდელების 22%). შემდეგ მოდის შრომის ანაზღაურების მუხლი, რომელიც მთლიანი გადასახდელების 12%-ს შეადგენს (9,2 მლნ ლარი), შემდეგ საქონელი და მომსახურება - 10% (7,7 მლნ ლარი) და ა.შ.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების პროპორცია ბოლო 3 წლის მიხედვით მოცემულია გრაფიკ #34-ზე.



მიმდინარე და კაპიტალური ხარჯები 2022-2024 წლებში

